საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 22 0000930693

22/08/2022

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული სტომატოლოგის" რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის

აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 09 მარტის №236460 წერილით, წარმოდგენილ იქნა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი "დიპლომირებული სტომატოლოგის" რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 30 მარტის №327900 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2022 წლის 10 მაისის №463836 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2022 წლის 30 მაისს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ხოლო 2022 წლის 01 აგვისტოს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 8 აგვისტოს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „დიპლომირებული სტომატოლოგის" რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2027 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „დიპლომირებული სტომატოლოგის" რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 22 აგვისტოს №928355 სხდომის ოქმის №05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 08 აგვისტოს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის

მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს მიერ 31/08/2020, №750413 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, (0186) ვაჟა-ფშაველას გამზ. N33
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 08 აგვისტო
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 31 დეკემბერი